# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 238 სამშაბათი, 27 ოქტომბერი 1909 წ. № 238

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ხზვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიაროდ განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ზ. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ დაუბრუნებენ. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА»

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

### „დროების" კანტორისაგან.

წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არა აქვს ფული შემოტანილი, გაზეთი აღარ გაეგზავნებათ. ● ყოველ თვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ეგზავნება ვისაც დამდეგ თვის ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს. ● ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა. ● გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე საჭიროა ხელის მომწერმა კანტორას აცნობოს, რომ მომავლისთვის ყურადღება მიექცეს.

### ქართული თეატრი

სამშაბათს, ამა ოქტომრის 27-ს,

წ.-კ. საზოგადოების გამგეობის მიერ

გაიმართება

## ილია ჭავჭავაძის საღამო

1. განყოფილება: „სქესი, სიყვარული და „განდეგილი"—ლექცია გრ. რობაქიძისა.

2. კონცერტი ვანო სარაჯიშვილის, ი. ბარათაშვილის, ნ. გაბუნია-ცაგარლის და სხვათა მონაწილეობით.

3. ცხოველი სურათები ილიას თხზულებიდან („დედა და შვილი", „კაკო", „აჩრდილი", „პოეტი", „დიმ. თავდად.", „გაზაფხული", „გუთნის დედა") დეკლამაციით. ცხოველ სურათებში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ამირაჯიბი, გაბუნია-ცაგარლისა, მდივანი, რომანიშვილი, ჩერქეზიშვილი, ფ. ჯაფარიძე; ბ-ნნი გვარაძე, ზურაბიშვილი, მესხი და ჯაფარიძე.

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი. (5—5)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვენეციელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი გ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.** თვალის, ორშ, ოთხშ. და პარას. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე ა. ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ., ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—6.—22)

## შავი-ქვის

მრეწველთა მე-12 კრების თავმჯდომარის, სამთო-მადნო სამმართველოს უფროსის თანაშემწის, დ. ს. ს. მარიან ივანეს ძე ჩენგერის წინადადებით, მრეწველთა საბჭო ამით აცხადებს, რომ მდგომარე 1909 წლის 30 ოქტომბრისთვის ქალაქ ქუთაისში დანიშნულია

## მე-12 მორიგი კრება შორაპნის მაზრის შავი-ქვის მრეწველებისა.

**განსახილველია შემდეგი საკითხები:**

1. არჩევანი კრების მდივნისა.
2. განხილვა საბჭოს და კომისიის ანგარიშებისა.
3. განხილვა სტატისტიკურ ცნობებისა.
4. განხილვა ღებულებისა კრებების შესახებ.
5. სათადარიგო თანხის შექმნა კრების საჭიროებათათვის.
6. გადათვალიერება იმ პირობებისა, რომლითაც ჯილდო ეძლევათ უბედურ შემთხვევათაგან დაშავებულ მუშებს.
7. შავი-ქვის ტარიფის დაკლება ჭიათურის შტოზე.
8. კრებების საჭიროებათათვის საფუთო გადასახადის გადიდება.

(3—6.—3)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ბ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**გ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—190)

## კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, ხაგუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—6.—92)

## ექიმი -სპეციალისტი ქ. ქუთაისში ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის მესაძვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ე.—15)

## ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—34)

## ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

## ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

### ქუთაისში

კბილის ექიმის დ. ს. რაჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—6.—29)

## ექიმმა ქუთაისში. ვოლოხმა

ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება. დილით 10—12 ს., ხოლო საღამოთი 5—7 ს. კვირაობით მიღება მხოლოდ 1-მდე. (25—კვ.—14)

## ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდურონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—282)

## ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი

არჩენს სპეც. თირკმ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ხალ.—33)

## ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის

ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ხალ.—43)

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

## ექიმი ლ. ნ. ოჭანჯანოვი

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიესისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს, საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ხალ.—47)

## სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯალოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. მეთანხმებით. სააავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ხალ.—45)

## ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (0—კვ.—89)

✦ სახალხო სახლი ✦

## ძმ. ზუბალაშვილებისა

ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ პარასკევს, 30 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება

## ცხოვრების გმირი

დრ. 3 მოქ. კარეევისა, თარ. ჩიკვაიძისა.

## ექიმთან

კომედია ივ. გომართელისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი თ. აფხაზიშვილი, ნ. ბაქრაძე, თ. გოგოლაშვილი, ა. კავთელი, მ. მარგველაშვილი, ტ. საგინაშვილი, მ. ქართველიშვილი, და მ. ციმაკურიძე; ბ-ნნი გ. ანაშვილი, გ გელიკურაშვილი, გომელაური, გ. გოგია, ა. მეტრეველი, ვ. მატარაძე, მირველოვი, ს. პეპანოვი, ს. რომანოვი, რ. სალაყაია, მ. შალიკო, ნ. ჭანკვეტაძე და ჯიბლაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

(4—2) გამგე ა. ყორანაშვილი.

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ. ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგოსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**.—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3.

**ნოვიცკი**—ბებ., ქალ., ყოველ დღე 1—2

**აზვლედიანი**— შინაგ. და ბავშ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ ს.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ. ყ.-დღ. კვირ, გარდა 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურ. $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა. ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა დ მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის შრატით. (00—6.—109)

## იყიდება

იაფად საავარაკო ადგილები, თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ თელოვანში (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს. (50—6.—40)

## მოწოდება

**ბაღდადის უფასო წიგნთ-საცავ-სა მკითხველოს გამგეობა**

უმორჩილესად სთხოვს წიგნების ავტორებსა და გამომცემლებს და აგრეთვე კერძო პირთ: პირველთ თავიანთ თხზულებების და გამოცემების თითოოროლა ცალის შემოწირულებას, ხოლო უკანასკნელთ—ფულის ან წიგნების შემოწირულებით დახმარებას აღნიშნულ ახლად დაარსებულ სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ, რათა მით ხელი შეუწყონ სამკითხველოს მკვიდრ ნიადაგზე დაყენების საქმეს. ყოველგვარი შემოწირულება გამოცხადებული იქნება გაზეთში. შემოწირულება და წერილობითი ცნობები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Кутаисъ. Книжный магазинъ „Имеретія", Исидору Квицаридзе для Багдадской библіотеки-читальны.

გამგ. წევრნი: კნ. დადეშქელიანი, ერმილე დვალიშვილი, ანტონ ბუცხრიკიძე.

(1—უ.—1)

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—39)

## ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—15)

## ექიმი გ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

„ტფილისის სობრანიე"

სამშაბათს, 27 ოქტ. 1909 წელს

## საოჯახო საღამო

სინემატოგრაფი ქ-ნ ივანიცკაიასი.

ახალი სურათები.

დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი და საზანდარი. სინემატოგრაფის შემდეგ

## ცეკვა

დასაწყისი სინემატოგრაფისა სწორედ საღამოს 9 საათზე. 1—519—1)

## სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**კანონ-პროექტები მიწათ-მოწყობისა და პირობით დასჯის შესახებ.**

მეშვიდე სხდომაზე, 24 ოქტომბერს, სათათბირომ, როგორც იქმნა, დაამთავრა მუხლობრივ წაკითხვა მიწათ-მოწყობის კანონ-პროექტისა. სულ ამ კანონ-პროექტში 105 მუხლი ყოფილა.

შემდეგ სათათბირომ განიხილა იუსტიციის მინისტრის პროექტი პირობით დასჯის შესახებ. ბჯემოვმა გააცნო სათათბიროს ძირითადი საფუძველნი ამ პროექტისა. როგორც ვიცით, კანონით დამნაშავეებისთვის არსებობს სხვა და სხვა სასჯელი. ეხლა უნდათ ახალი სასჯელი შემოიღონ—პირობით დასჯა. ეს სასჯელი მიღებულ იქნება ნაკლებ დამნაშავეთათვის, რომელთაც დღეს უწყვეტავენ არა უმეტეს ერთი წლისა და ოთხი თვის დაპატიმრებისა. ამასთან ამ ახალ სასჯელის გადაწყვეტა დამოკიდებული იქნება სასამართლოს შეხედულებაზე. ახალ სასჯელს გადაუწყვეტენ ზნეობრივად ნაკლებ დაცემულ დამნაშავეებს, რომელთაც დანაშაულობა პირველად ჩაუდენიათ. დამნაშავეს სასჯელს მიუსჯიან, გამოუცხადებენ განაჩენს, ჩააგონებენ, მაგრამ დროებით, პირობით სასჯელისაგან გაანთავისუფლებენ. ვადა იქნება სამიდან ხუთ წლამდე. თუ ამ ხნის განმავლობაში დამნაშავე გასწორდა, იგი სასჯელისაგან სულ განთავისუფლებულ იქნება, თუ არა და სასჯელს გადაახდევინებენ. აი, მოკლედ ახალი სასჯელი. ასეთი სასჯელი მიღებულია ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში.

მემარჯვენეთა წარმომადგენელი ზამისლოვსკი, რასაკვირველია, წინააღუდგა ამ პროექტს. ეს პროექტი სასჯელს ამსუბუქებს და ეხლანდელ არეულ დროში კი სასჯელის შემსუბუქება არ შეიძლებაო.

ილაპარაკეს იუსტიციის მინისტრმა და სხვა ორატორებმაც. ამ პროექტის გამო ჩაეწერა 48 ორატორი. კარგი პასუხი გასცა ზამისლოვსკის მაკლაკოვმა.

ამავე სხდომაზე 30 დეპუტატმა წინადადება შეიტანა, მოიხსნას ეს პროექტი და სათათბირომ იმის ნაცვლად განიხილოს კანონ-პროექტი ადგილობრივ სასამართლოს შესახებ. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ტიმოშკინმა. სათათბირომ უარ-ჰყო ეს წინადადება.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

24-25 ოქტომბერი

### სპარსეთი

**თავრიზი**. სათარ-ხანს თავრიზში ჩამოსვლისთანავე ცხარე ლაპარაკი მოუვიდა გენერალ-გუბერნატორთან. სათარ-ხანი გენერალ-გუბერნატორს ჰკიცხავდა, არდებილში განგებ დაიგვიანე მაზლით და დაემუქრა გადაგაყენებო. ქალაქში აშკარად ლაპარაკობენ, სათარ-ხანი არდებილში ყოფნის დროს ხალხსა სცარცვავდაო.

შაჰსევანები სერაბს მიუახლოვდნენ.

**ასტარა**. არდებილში შაჰსევანები და ყარადაღელები ცარცვა-გლეჯას განაგრძობენ. გაცარცვეს ზოგიერთ რუს ქვეშევრდომების სახლები. რუს მოვაჭრეების მამასახლისის სადგომს რუს ქვეშევრდომების გარდა 2,000 მოქალაქემ შეაფარა თავი. მომთაბარე თემების მეთაურებმა ყორანზე დაიფიცეს, ერთად ვიმოქმედებთ და რახიმ-ხანს არ ვუღალატებთო. შაჰსევანები და ყარადაღელები ქალაქს ამაგრებენ იმ შემთხვევისთვის, თუ სპარსეთის მთავრობის ჯარი ჩამოვიდა. რუსეთის საკონსულოს ყაზახები იცავენ. შაჰსევანებს და ყარადაღელებს ჯერჯერობით საკონსულოსთვის ხელი არ უხლიათ.

### საზღვარ-გარედ.

**ლონდონი**. დეპუტატთა პალატა. ირლანდიის საქმეთა სტატს-სეკრეტარმა დეპუტატთა პალატას წინადადება მისცა უარ-ჰყავით ლორდთა პალატის მიერ ირლანდიის საავარარო კანონ-პროექტში შეტანილი შესწორებანიო. პალატამ ხმის უმრავლესობით უარ-ჰყო ლორდთა პალატის შესწორებანი.

**პარიზი**. 23 ოქტომბერს დააპატიმრეს ორი რუსი ქვეშევრდომი. მათ სახლში სამი ყუმბარა აფეთქდა.

**ათინა**. ათინის დეპეშათა სააგენტო იუწყება: ტყუილია ის ხმა, ვითომ საბერძნეთის საქმეები ცუდად მიდიოდეს და მეფე თავის ოჯახობით ინგლისის სამხედრო გემზე გადასულიყოს. საზღვაო აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობს. პარლამენტში მუშაობა წესიერად სწარმოებს. მცხოვრებლები თავიანთ ჩვეულებრივ საქმეებს შეუდგნენ. აგრეთვე ტყუილია ის ხმა, ვითომ მეფეს უარი განეცხადებინოს ტახტზეო.

**პეტერბურგი**. საზღვარ-გარეთის პრესსაში და, სხვათა შორის „ფორნაიტლი-რევიუში" ირწმუნება, რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობას თავისით მისცა წინადადება, ბოსნია-ჰერცოგოვინა და ნოვობაზარის სანჯაყი შეიერთეთო. ეს ცნობა ყოველსავე საფუძველსაა მოკლებული. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომ შეიტყო, რომ ეს ცნობა დამყარებულია 1908 წლის 19 ივნისის მემორანდუმზე, რომელიც რუსეთის მთავრობამ ავსტრო-ჰუნგრეთისას გაუგზავნა. ამ მემორანდუმში რუსეთის მთავრობა აშკარა წინააღმდეგია ბოსნია-ჰერცოგოვინას და სანჯაყის შეერთებისა და სწერს, რომ ეს საკითხი ევროპის სახელმწიფოებმა უნდა გადასწყვიტონ და არა რუსეთმა და ავსტრო-ჰუნგრეთმაო. ასეთ განცხადებიდან ყოვლად შეუძლებელია იმის დასკვნა, ვითომ რუსეთის მთავრობას ავსტრიის მთავრობისთვის წინადადება მიეცეს ბოსნია-ჰერცოგოვინა და ნოვობაზარის სანჯაყის შეერთების შესახებ.

### ესპანიის და მაროკოს ომი.

**მადრიდი**. დილით მელილიასკენ გაემგზავრა 16,000 ჯარისკაცი.

**მადრიდი**. ოფიციალურად იტყობინებიან, ესპანიის ჯარმა უბრძოლველად დაიჭირა გინდენი. გან-

დენი დიდ-მნიშვნელოვანი პოზიციაა.

## რ უ ს ე თ ი

**კრასნოვოდსკი.** 23 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, სადგურ კრასნოვოდსკზე უცნობები თავს დაესხნენ რკინის გზის მეარტელეს. ბოროტ-განმზრახველებმა გაიტაცეს 500 მანეთი. დააპატიმრეს 3, დასჭრეს 2 ბოროტგანმზრახველი. მსუბუქად დაჭრილია საერობო დარაჯი.

**გროდნო.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად აირჩიეს გლეხი ბორის სიმონის ძე იანუშკევიჩი, მართლმადიდებელი, მონარქისტი.

**კურსკი.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად აირჩიეს ვიშნევსკი, მართლმადიდებელი, მემამულე, საგუბერნიო მმართველობის მოხელე.

**პეტერბურგი.** ადმინისტრაციის განკარგულებით 500 მანეთით დააჯარიმეს გაზეთ „ვსეობშჩაია მალენკაია გაზეტას" რედაქტორი. გაზეთში დაიბეჭდა წერილი „ფინლიანდია".

იაპონიის სამხედრო კომისიამ დაათვალიერა ვაჟთა კორპუსი. იაპონიის სამხედრო კომისიას აზრადა აქვს შეისწავლოს თუ როგორ არის დაყენებული სამხედრო საქმე რუსეთში.

**სმოლენსკი.** საშოსამართლო პალატამ განიხილა 7 კაცის საქმე. ბრალდებოდათ სოციალისტ-რევოლიუციონერების ჩრდილოეთ-დასავლეთის საოლქო ორგანიზაციის წევრობა. სასამართლომ გადაუწყვიტა: ოთხს სხვა და სხვა ვადით ციხე (8 თვიდან 32 თვემდე) ერთს (ქალია) ერთი თვით სატუსაღო, ორი გაამართლა.

**უფა.** სოფლებ ხურჩოვკასა და კურმონასასევოში გადაიწვა 67 სახლი და წრევანდელი მოსავალი,

**ჰელსინგფორსი.** გუშინ, 24 ოქტომბერს, შვედელთა პარტიამ იდღესასწაულა ეგრედ წოდებული „შვეციის დღე", მეფე გუსტავადოლფის გარდაცვალების წლის თავი.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციების დადგენილების თანხმად სათათბირო პირველ რიგში განიხილავს პირობით გასამართლების, პიროვნების შელშეუხებლობის და ადგილობრივ სასამართლოს რეფორმის შესახებ კანონ-პროექტებს.

**ლოდძი.** ოქროს მჭედელ რაპპორტს სასტუმროდან მოჰპარეს 40,000 მანეთის ძვირფასი ქვები. პოლიციამ დაკ რგული იპოვა. და ქურდი დააპატიმრა.

## ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** ორი დღე-ღამის განმავლობაში ავად გახდა 14, გარდაიცვალა 8, ავად არის 184 კაცი.

**პეტერბურგი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა: არხანგელის გუბერნიაში 5, ბალახნაში 5, გროდნის მაზრაში 3, ეკატერინოსლავის გუბერნიაში 15, კოსტრომაში 11, ნოვოგოროდის გუბერნიაში 4, კრემენჩუგში 1, ჩერნიაეჩში 6, პერმის გუბერნიაში 2, პონევეჟში 2, ნიკოლაევის მაზრაში 1, ასტრახანში 11 კაცი. გარდაიცვალა: არხანგელის გუბერნიაში 1, ბალახნაში 5, გროდნოს მაზრაში 2, ეკატირინოსლავის გუბერნიაში 8, ჩერნიაეჩში 2, პონევეჟში 2, ასტრახანში 6 კაცი.

## ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება

25 ოქტომბერს დეპუტატთა საკრებულოში მოხდა ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების კრება. შეიძლება ამ საზოგადოების მთავარ დანიშნულებას ტფილისში და ტფილისს გარედ ბევრი არც-კი იცნობდეს; შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ ეს საზოგადოება ინახავს ტფ. ქართულ ვაჟთა გიმნაზიას, ქალთა სკოლას. ხელმძღვანელობს გიმნაზიის შენობის აგებას. შეიძლებაო, ვამბობთ იმიტომ, რომ ჩვენში ყველაფერს უნდა მოელოდეს კაცი. ხომ ასეთი დიდ-მნიშვნელოვანი საზოგადოებაა ეს საზოგადოება, მაგრამ იგი ინტერესს მაინც არავის უღვიძებს, ინტელიგენციის ყურადღებას მაინც ვერ იქცევს... აი, თუნდა ეს კრება—გარეშეებს ვილა ჩივის, წევრიც ორიოდე გამოცხადდა მხოლოდ.

დიაღ, აქაც იგივე სენი, რომელიც თანა სდევს ყოველ ჩვენ საქმეს, იგივე გულგრილობა, საქმის არად ჩაგდება. ნეტა სად არიან ის იურისტები, ექიმები ქართველი მასწავლებელნი და სხვა პროფესიის ქართველი ინტელიგენტები? რატომ არ ეწერები ნ ამ საზოგადოებაში, რატომ საზოგადოების კრებებს მაინც არ ესწრებიან? ან იქნებ სხვაგან სადმე მუშაობენ? არა, არც ერთ საზოგადო საქმეში არ მუშაობენ, საზოგადო საქმისთვის ვისღა სცხელა, ყველა თავის კერძო საქმეებით არის გართული, ყველის მარტო კლიენტები, პატიენტები, კანცელარიები აინტერესებს. ლაპარაკში, იცოდეთ, ამათ მაღალი ფრაზებით ყურები გამოგიყრუონთ. უმეტეს ნაწილად ესენი სხვებს მოქმედებას უწუნებენ თითონ კი ნაცარქექიობის მეტს არას აკეთებენ.

25 ოქტომბრის კრებამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა სწორედ ამ მხრივ. კრებას ცოტა ხალხი დაესწრო, თუმცა განსახილველად იყო ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის შენობის შენარჩუნება, ხარჯთ-აღრიცხვა, ქალვაჟთა ერთად სწავლება, სამასწავლებლო სემინარიის დაარსება და სხვა. ვერც ამ საკითხებმა, ვერც კრების მეორედ დანიშვნამ ვერ გასჭრა და ხალხი ვერ მოიზიდა.

როგორ მოგწონთ ის გარემოება რომ კომისიისათვის, რომელშიაც ხუთი წევრი უნდა აერჩიათ, კაცები ვერ გამოსძებნეს. ყველგან ერთი და იგივე ხალხი, ერთი და იგივე პირები. ბედნიერია ზოგიერთი კაცი: ისე მიეჩვია საზოგადოება იმათ არჩევას, რომ ყოველგვარ კომისიაში ისინი მოჰყვებიან ხოლმე. საფინანსო გინდა, საპედაგოგიო თუ სხვა. პოლკოვნიკი ვლ. დ. ვაჩნაძე ამ ბედნიერთა რიცხვში უნდა ჩაითვალოს. ყველგან იმას ირჩევენ. აი, ამ კრებაზედაც, საჭირო გახდა ისეთ კომისიის არჩევა, რომელიც გაიცნობდა სწავლა-აღზრდის საქმის მდგომარეობას ქართულ გიმნაზიაში და თავ. ვაჩნაძე ერთხმად დაასახელეს ამ კომისიაში. უნდა დაუმადლოთ თავ. ვაჩნაძეს, რომ კრება გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოიყვანა—ერთი წევრის ძებნა მაინც აღარ მოუნდა კრებას. სხვა წევრების ასარჩევად, ტფილისში რომ ვერვინ იშოვნეს, გორში გადაიტანეს თავიანთი გულისყური. სთხოვს ერთს, მეორეს, დაასახელეს ერთი, მეორე—და ასე. მერე სად არიან სპეციალისტები, პედაგოგები? ტფილისში ხომ ბევრი ქართველი პედაგოგია?

კრების მთავარი ყურადღება მიიპყრო გიმნაზიის ახალ შენობის საკითხმა. ვინ არ იცის, რომ დიდი შენობა, მშვენიერი შენობა ავაგეთ, მაგრამ ვალიც დიდი დავიდეთ. ავაგეთ შენობა, რომელიც დიდს ხარჯსა თხოულობს, და ეხლა, როდესაც საზოგადოებას იმდენი სახსარიც კი აღარ მოეპოვება, რომ მასწავლებლებს ჯამაგირები მისცეს, მოდი და შენობის ვალების გადახდაზე იზრუნე. უნდა იზრუნო კი. დიდ ძალი ფული დაგიხარჯნია, შენობა აგვია და ხვალ რომ ბანკმა გაგიყიდოს, რა თქმა უნდა, კარგი საქმე არ იქნება. და აი შენობის ამგვარი მდგომარეობა ისეთ ბორკილებს ადებს ფეხებზე სკოლის კომიტეტს, რომ ბევრ სხვა საქმის შესახებ ზრუნვაზე ხელს აღებინებს. ეს ბორკილები შარშანაც იყო, ამ სამი წლის წინადაც და შემდეგაც იქნება. დღევანდელი კრებაც უძლური იყო, საქმე საბოლოოდ გადაეწყვიტა. ბანკში 30,000 მანეთია შესატანი. დაადგინა, ეს ფული სთხოვონ თავ.-აზნაურთა საფინანსო კომისიას მომავალი წლის ანგარიშში, რომ შენობა არ გაიყიდოს. მაგრამ ეს ხომ წუთიერი საშუალებაა. თავად-აზნაურობამ კიდეც რომ შეიტანოს 30,000 მანეთი, მომავალში შენობა უვალოდ არ იქნება. ვალია გადასახდელი 541.546 მან. 81 კაპ. აქედან საადგილმამულო ბანკისა 456.444 მანეთი, სამეურნეო ბანკისა, 63,926 მანეთს სასტიპენდიო ფონდისა. 17.676 მან. და მუხრანსკის ვექსილი 350,000 მ. მდიდრების ქველმოქმედების იმედიც გაუცრუვდათ თითქმის. ასეთ მდგომარეობაში ძალა-უნებურად მეორე სახლი უნდა გაიმეტონ და ეხლანდელი დიდი შენობა დაიხსნან განსაცდელისგან. ეს მეორე სახლი განოვის ქუჩაზეა...

კრებამ მოისმინა გიმნაზიის გამგის ა. მღივანის მოხსენება ქალ-ვაჟთა საერთო სწავლებაზე, ქალთა სკოლის სვე-ბედზე, საბავშვო ბაღზე და ქართულ სკოლებში სამღვთო სჯულის სამშობლო ენაზე სწავლებაზე.

აქ ჩვეულებრივი სურათი გადიშალა. ადგილობრივ სამოსწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭომ ნება არ დართო ქართულ გიმნაზიას, ქალების და ვაჟების სწავლება ერთად მოეწყო მესამე კლასამდე. თავიანთი უარი ბავშურად დასაბუთეს. ან კი დასაბუთება რა საჭიროა ისეთ დაწესებულებისათვის, რომელიც თავის მიზნის მისაღწევად არავითარ საშუალებას არ ერიდება. თუ კი სოჩში, გუდაუთში, დონის-როსტოვში მოწყობილია საერთო სწავლება, რატომ აქ არ შეიძლება საქმის ასე მოწყობა? მაგრამ ეს კიდევ არაფერი. გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ გამოცდილებით დაინახა, რომ საბავშვო ბაღებში მომზადებული ბავშვები უკეთ ითვისებენ საგნებს. პედაგოგიურმა საბჭომ განიზრახა ორ ვირველ-დაწყებით განყოფილების გაუქმება და სამაგიეროდ საბავშვო ბაღის მოწყობა. ამ ბაღში პატარა ბავშვები, რასაკვირველია, ქართულად ილაპარაკებდნენ, ვარჯიშობაც ქართულ ენაზე იქნებოდა. სამოსწავლო ოლქმა აქ არ დაივიწყა თავისი მიზანი და შუამდგომლობის ქაღალდზე რეზოლიუცია დააწერა, საბავშვო ბაღებში ქართულ ენაზე ვარჯიშობა არ შეიძლებაო. ასეთი განკარგულება მოახდინა მაშინ, როდესაც ტფილისშივე ამავე ოლქმა ნება დართო ფრანგებს საბავშვო ბაღში ფრანგულად მოეწყოთ ვარჯიშობა; ნება დართო სომხებსაც და მაჰმადიანებსაც. ქართველებს კი მტკიცე უარი სტკიცა.

ამავე მდგომარეობაშია სამღვთო სჯულის სამშობლო ენაზე სწავლობის საქმე. მაჰმადიანებისათვის ტფ. პირველ გიმნაზიაში სამლოცველოც არის აგებული, სჯულის სწავლა ხომ სამშობლო ენაზე სწარმოებს; წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელშიაც არის სამლოცველო მაჰმადიან ქალებისათვის, სწავლება ყველგან სამშობლო ენაზეა. ყველა გიმნაზიასა და დაბალ სასწავლებელში, სომეხი მოწაფეებს სომხური ენაზე ასწავლიან სამღვთო სჯულს. გორიში კი, სადაც სომეხმა მოწაფეებმა სომხური არ იციან, სამღვთო სჯულს სომხურად ასწავლიან, ჩვენ კი, ქართველებს, გვიკრძალავენ ქართულად ვასწავლოთ ბავშვებს სამღვთო სჯული. უნდა სლავიანურ ენაზე ვაზეპირებინოთ ლოცვები...

როგორც გამოირკვა სამოსწავლო ოლქი მტრულის თვალით უყურებს ქართველობას და პაწია, ოთხი წლის ბავშვებსაც კი უკრძალავს სამშობლო ენაზე ლაპარაკს.

კრებამ დაადგინა, ყველა ამ საკითხზე მიმართოს სახალხო განათლების სამინისტროს. თითონ თავ. ა. ი. თუმანიშვილი წავა პეტერბურგს და პირადად აუხსნის საქმის ვითარებას.

სამინისტროს უნდა მიმართონ, მაგრამ გამოვა რამე თუ არა ძნელი სათქმელია. ვინც შვარცის პოლიტიკას იცნობს, იმედი უცრუვდება. ცდა მაინც ბედის მონახევრეა.

კრებას მოხსენდა სკრის მამულის გაყიდვის შესახებაც. კომიტეტს მთელი მამული გაუყიდნია 40,000 მანეთად. ადგილი სანახევროდ შეუძენიათ სოფელ ხიზამაყრისა და სოფ. სკრის გლეხებს, კომიტეტს 41,000 მან. მიუღია გლეხებისაგან და სკოლის შენობაზე დაუხარჯავს, ხოლო 18,000 მან. ბანკის ვალი გლეხებს თავიანთ თავზე გადაუტანიათ და დანარჩენი კიდევ მისაცემია.

კრებამ ხუთი კაცი აირჩია კომისიაში: თავ. ვლ. ვაჩნაძე, მ. რ. ზაალიშვილი, მ. ა. გედევანიშვილი, ი. ჯაბადარი, თავ. ვაჩნაძე და გ. ქურდოვანიძე.

გიმნაზიის გამგემ აუწყა საზოგადოებას, რომ ძალიან ღარიბი ბიბლიოთეკა აქვს გიმნაზიას, აგრეთვე ფიზიკური კაბინეტი და სხვა სასწავლო ნივთები გიმნაზიას არ მოეპოება. პარტებიც დაძველებულია და ახლებია საჭირო. მიწერ-მოწერა უკვე ჰქონია სხვა და სხვა ფირმასთან. სხვა და სხვა სასწავლო ნივთების შეძენა საზოგადოებას შეუძლიან ერთ უცხოელ ფირმისაგან. ფუ-

---

# ოცნების მხარეს

დრამატიული პოემა.

(შემდეგი *)

### სურათი მეორე

### ზ ღ ვ ა.

ნავით მისცურავს **მგოსანი**, მიეჩქარება სხვა მხარეს;
არ უშინდება ზღვის ღელვას, ტალღას მიაპობს მქუხარეს.
მასთან არიან ერთგულნი, ანუგეშებენ მწუხარეს,
რა ატირდება საბრალოდ, ცრემლს უშრობენ მდუღარეს.
თან ახლავს მოხუცებული, **ბერო** ღვთის შიშით აღვსილი
გრძნობა ცხოველი, **მზისავარ**, მეგობრად მასთან აღზრდილი,
ქალწული ტურფა **სევდია**, წმინდა ვით ცისკრის აჩრდილი
მარდი მხლებელი **ერთგულა**, ძმად გაფიცული ნამდვილი.

**მ გ ო ს ა ნ ი**

ოცნების მხარეს მივილტვი,
იქ სცხოვრობს სატრფო გულისა;
მანძილი დიდი განვლიე,
მომწყვლელი ნორჩი სულისა.
ვინ არის მცოდნე კუნძულის
იმედით დასახულისა;
სად მარად ბრწყინავს, შუქს აფრქვევს
ვარსკვლავი სიხარულისა.
ავადმყოფი ვარ ლოგინად,
დავკარგე შვება-სიამე;
ულვთოთ დამკოდა მშვენებით,
ვისზედ ვლოცულობ დღე-ღამე.
ასულსა, სიზმრად ნახულსა,
კონად შევუკარ ია მე;
სალამი მიძღვნა, გამშორდა,
ობოლის ცრემლით ვინამე.
მზისავარ, ჩანგი მომართე,
დამღერე ხმითა ნელითა;
გულს სევდა შემომწოლია
სამსალითა და ბნელითა.
ღრმად მწვდება შენი სიმღერა
და მაფრთოვანებს შვებითა;
დამღერე, ნუღარ აყოვნებ,
დამღერე ალტაცებითა.

მზისავარ ჩანგსა აიღებს თითსა შეახებს ნათელსა
გულის სიღრმიდან აღმოსთქვამს სიმღერას გრძნობათ აღამგზნებსა.

ყველა დადუმდა, მიუყურდა, ტალღაც გარდიქცა მსმენელი;
დამღერა თვითონ რაც გრძნო, ან რისაც იყო მნახველი.

**მ ზ ი ს ა ვ ა რ**

სიზმრად ვნახე
შენი სახე,
გულს იმედად დავისახე

—

ჩემს სალოცველს,
ნორჩ გულის მკვლელს
ჰიმნს ვუმღერდი გრძნობათ ამშლელს.

—

რა იფიქრე,
რად გამწირე,
მითხარ, რისთვის ამატირე?

—

რად მტანჯავდი,
რისთვის მკლავდი,
ცოცხალს საფლავს რად მმარხავდი?

ყურსა უგდებდა მგოსანი, მას ჭანგი სმენას უტკბობდა,
აღენთო მოგონებითა, გული უცემდა, უთრთოდა.
მზისავარს ჩანგი წაჰგლიჯა, თვითონ დამღერა უცხოდა.
მკერდს დაეპკურა ცრემლები, სევდია თმითა უშრობდა.

**მ გ ო ს ა ნ ი**

ტალღავ, ნუ შთამთქავ, ტიალო,
მიჯნურსა მიმახწევინე;
შენზედ ამაყად მცურავსა
ნავსა გზა გააკვლევინე.
ნუ მიშლი, გზას ნუ მიღობავ,
ცრემლი ნუ დამაფრქვევინე;
მიჩვესე ჩემი იმედი,
თუნდ სული დამალევინე.
მთვარევ, თან გვდიე გუშაგად,
ნანა გვიმღერე საამო;
მიამბე სატრფოს ამბავი,
ეგებ მით გულსა აამო.
რა ყოფაშია, რას ჰფიქრობს,
შენ ჰხედავ ყოველ საღამო.
ლონე მიმიხდა, ვიტანჯვი,
მომეცი წყლულის მალამო.
ვარსკვლავო, ბედის ვარსკვლავო,
მომბერე შვების ნიავსა;
შენი ციმციმი მაგონებს
გულის სწორს, ნელად მქროლავსა!
ნუ, ნუ წამიწყმენდ იმედსა,
ნაზსა ოცნების ფრთიანსა
ობოლ ჩანგს სიმს ნუ შეუწყვეტ
მომხიბვლელსა და ხმიანსა.
ნავო, გაცურდი, გაცურდი,
სად ბრწყინავს ჩემი მიზანი;
ღამე სულსა ჰ ევს, ილევა,
დღე გათენდება მზიანი.
აქ ნუ მიმტყუნებ, ნუ მომკლავ,
მგზავრებს გვაშორე ზიანი;
გადაგვაცურე, გვაჩვენე
ხმელეთი ნაძვნარ-ბზიანი.
ტალღავ, ნუ შთამთქავ, ტიალო,
მიზანსა მიმახწევინე;
მაჩვენე სატრფო გულისა,
სული ნუ დამალევინე.

მისუსტდა. სიმებს ვეღარ სცემს, ცრემლი თვალთაგან დადგარა.
მისცვივდნენ მოსაბრუნებლად, ბერი დიცულობს ჭადარა.
საწოლის გვერდით სევდია ცრემლებს აფრქვევდა, კვნესოდა.
შეწუხებული საბრალოდ კვნესოდა, იბნიდებოდა.
მზისავარს სასო მიუხდა, აღარა ემჟღლებოდა.
ტანჯული მიჯნურისათვის, მის უხილავად კვდებოდა.
ბოროტნი სულნი გუნდ-გუნდად ნავის უკანა მოჰქროდა.
ჰსურდათ დაღუპვა მგზავრების, სხვა ძალა ეურჩებოდა.

**ზღვის ფერიები**

გულუბრყვილომა, საბრალომ,
აბა, პეპელამ რა იცის,
რომ შუქით მოტყუებული
ლამპართან ტრფობით დაიწვის?
ასეა სული კაცისა
მიესწრაფება, მიილტვის;
ან დაეცემა ბრძოლაში
ან სასურველსა მიიწყვის.

**გუნდი კეთილ სულებისა.**

ვაი, თუ სურვილს ვერ მისწვდნენ,
სიკვდილმა ბოლო მოუღოთ?
ტალღებმა შთანთქან უფსკრულში,
ბედმა შავბნელმა უმუხთლოთ?
სხვა მიზნის მაძიებელთა
კეთილი რაღა ვუსურვოთ?
ვგლახ! რაღა ჰქმნან დაკორგულთ?
მათთვის ვიგლოვოთ, ვიურვოთ!

**გუნდი ბოროტ სულებისა.**

ძეგლი რას არგებთ ფერფლად ქმნილთ,
ბრბო უგუნური დაანგრევს;
თუნდაც გადარჩეს მტრისაგან
ჟამთ ვითარება მტვრად აქცევს!
უძლური არის ადამი
გულის თქმათ ძნელად მიახწევს;
მიუწვდომელსა ვერ მისწვდეს,
ამაოდ სისხლსა დაანთხევს!

**გუნდი ქაჯებისა.**

მიზნის ძებნაში სულსა ჰლევს,
ვერ მოუკლია წყურვილი;
შფოთავს და კვნესის საბრალოდ,
ცოცხალს სჩვევია წუხილი.
მოკვდება, მტლი გამოჰხრავს
გაჰქრება ბედით დავსილი;
ვაი, რა მუქთად გაივლის
თვით მეფე ძლევით აღვსილი.
მაგრამ მგოსანმა მიაგნო,
ალლო აილო **მიზნისა**;
რაც დაუსახავს ღრმად გულში,
იგი არ არის მიწისა.
ეძებს სიყვარულს სხვა მხარეს,
მომლხენის სულით მწირისა;
მისთვის დღე-ღამე არ სძინავს,
მისთვის ნიადაგ სტირისა.

**მზისავარ.**

სად სუფევს შვებასიამე,
იგი სამეფო სად არი?
აყვავებული, შემკული,
ტურფა ედემის სადარი?
არ ვიცით, რისთვის მოვსულვართ,
წასვლისთვის ფართო გზა არი;
ცდა ჩვენი უკეთისათვის
ამაოა და საზარი!
ჰე, საყვარელო, შენთვის მკვდარს,
შენ არ გაუთხრი სამარეს;
მოკვდება, ვეღარ იხილავს
შავს თვალთა მარად მგზნებარეს.
არ დაიტირებ შენს ერთგულს,
ცივ სამარეში მდებარეს;
სხვას გაუღიმებ დამტკბარი,
სევდას გახტან მდინარეს,

ა. შანშიაშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „დროება" N 237.

ლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვიატკის საგუბერნიო ერობასთანაც მიწერ-მოწერა ჰქონიათ პარტების შესახებ. ვიატკელი შინამრეწველები (კუსტარები) პარტებს, ახალ სისტემისას, 7 მანეთად აკეთებენ. ტფილისში-კი 14 მ. ჯდება თითო. აქ ჩამოტანით გაცილებით ნაკლები დაჯდება, ვიდრე აქ დამზადებული. ფულის გადახდაც ნაწილ-ნაწილად შეიძლება.

საზოგადო კრებამ დაადგინა, შეიძინოს ნივთები, წიგნები ბიბლიოთეკის მოსაწყობად. საჭირო თანხა უკვე არის. ყოველ წლივ თითქმის 5000 მანეთია გადადებული ამ საქმისთვის. ამ ფულით შეიძლება ნაწილ-ნაწილად ნივთების შესაძენად ვალის გადახდა.

კრებამ დასასრულ მადლობა გამოუცხადა კნ. მუხრან-ბატონს, რომელმაც 43 ათასი მანეთის ვექსილები გამოისყიდა და შენობას ვალი მოაშორა. დაადგინეს, განსვენებულ თავ. კონსტანტინე მუხრან-ბატონის სურათი სააქტო დარბაზში ჩამოჰკიდონ.

თავ. ვაჩნაძემ მოითხოვა სარევიზიო კომისიის არჩევა, რომელმაც ყოველ მხრივ უნდა გამოიკვლიოს გიმნაზიის მდგომარეობა. ბ-ნ რატიშვილის აზრით კი, კომისია უნდა არჩეულიყო იმ ხმების გასაფანტავად, რომელიც ვითომ გიმნაზიის შესახებ ყოფილა გავრცელებული. ბ-ნი რატიშვილი მოვალე იყო პირდაპირ ეთქვა, რა ხმები ვრცელდება გიმნაზიაზე. თავადმა პავლე თუმანიშვილმა და სხვებმა სთხოვეს ბ-ნ რატიშვილს, ელიარებინა ის, რაც გაუგონია, მაგრამ რატიშვილმა ეს შესაძლოდ ვერა სცნო. ასეთ პირობებში კომისიის არჩევა, ცოტა არ, იყოს ცუდ მდგომარეობაში აყენებს სკოლის კომიტეტსაც და პედაგოგიურ საბჭოსაც. მით უმეტეს ყოველ წევრს უფლება აქვს, მივიდეს სკოლაში და გაიცნოს სწავლა-აღზრდის საქმის მდგომარეობა, საქმის გაცნობა შეეძლო სარევიზიო კომისიასაც. გიმნაზიის გამგე რამდენჯერმე მიუწვევია კიდეც მშობლები—მობრძანდით, ნახეთ, როგორ მიდის თქვენი შვილების სწავლების საქმეო. ხ.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ილია ჭავჭავაძის სალამო.** დღეს, 27 ოქტომბერს, ქართულ თეატრში გაიმართება ილია ჭავჭავაძის სალამო. ამ სალამოს მართავს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. სალამო სამი განყოფილებისაგან შესდგება. პირველ განყოფილებაში გრ. რობაქიძე წაიკითხავს ლექციას ამ თემაზე: „სქესი, სიყვარული და „განდეგილი"; მეორე განყოფილება საკონცერტო იქნება. მონაწილეობას იღებენ ვანო სარაჯიშვილი, ი. ბარათაშვილი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა და სხვანი. მესამე განყოფილებაში დაიდგმება საინტერესო ცოცხალი სურათები ილიას თხზულებიდან დედა შვილით. როგორცა ჰხედავთ, პროგრამა ძალიან საინტერესოა და ხალხი ალბად ბევრი დაესწრება.

✦ **ჩამოხრჩობა.** „კასპი"-ს სიტყვით, ბათუმში უკვე ჩამოუხრჩიათ ექიმ ტრიანდაფილიდის მკვლელები რამიშვილი, დოლიძე, ცინცაძე და ელენტი.

✦ **ახალი გამოგონება.** ამ რამდენიმე ხანის წინად რაჭის მაზრის მცხოვრებს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მემანქანის თანაშემწეს, ტფ. ქალაქის სახელოსნოში სწავლა დამთავრებულს, ერასტი კაციტაძეს გამოუგონია ერთ გვარი ავტომატიური მანქანა. ამ მანქანას შეუძლიან ბევრად გააუმჯობესოს მატარებლების მიმოსვლის საქმე. ამ ჟამად ორთქლმავლებსა და ვაგონების ბორბლებს მიმაგრებული აქვს პატარა-პატარა რკინის ყუთები, საიდანაც ზეთი გამოდის, ღერძს ესმის და მით აადვილებს ბორბლების ტრიალს. ამას გარდა, ეს საშუალება ორთქლ-მავლების ბუქს დაწვისაგან იცავს, რადგან შეიძლება ძლიერი ხახუნისაგან დაიწვას. ეხლანდელი სისტემა ზეთის წასმისა იმდენად პრიმიტიულია, რომ ყოველ სადგურზე ჩერდება მატარებლები და ხშირად ყოველსავე სადგურზე უნდა შეამოწმონ ხოლმე, საკმაო თუ არა ზეთი, ამას სჭირდება მეტი მოსამსახური, მეტი ხელი, დრო და ზეთიც მეტი იხარჯება. ბ-ნ კაციტაძის მიერ გამოგონილი მანქანა აადვილებს საქმეს, რადგან თავისით აწვდის ზეთს როგორც ორთქლ-მავალს, ისე ვაგონებს, ასე რომ მატარებელმა შეიძლება რამდენიმე ათასი ვერსი გაიაროს გაუჩერებლად და შეუმოწმებლად. საქმე იმაზეა დამოკიდებული, თუ მატარებელს რამ სიდიდის აუზი ექნება ზეთის ჩასასხმელად. კაციტაძეს, ავადმყოფობისა გამო, ამ გამოგონებაზე, უფლების მოპოებას და მისი გამოყენება მიუნდვია რკინის გზის მუშათა პატარა ამხანაგობისათვის, ბ-ნ იაკობ სირაძის მეთაურობით. ამ ამხანაგობამ უნდა მოიპოვოს უფლება მონოპოლიისა და მანქანა გაავრცელოს. სირაძეს რუსეთის რკინის გზათა დეპარტამენტისაგან უკვე მიუღია მოწმობა, საფრანგეთის მთავრობისაგან—პატენტი, ხოლო გერმანიიდან მოსვლია წერილი: ვიდრე პატენტს გამოგიგზავნიდეთ, გამოიანგარიშეთ და გვაცნობეთ, რა ეკონომიას იძლევა მანქანაო. ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროს ბ-ნ ნეიგებაუერს მანქანა მოუწონებია და თავის ფულით სამი მანქანა უკვე გაუკეთებინებია სახელოსნოში. ერთი მანქანა დაუდგამს ბაქოში ორთქლმავალზე და ბალახანასა და ბაქოს შუა გამოსაცდელად ამუშავებენ, ხოლო ორიც უნდათ საცდელად ტფილისში იხმარონ. რადგან ამხანაგობას ამ საქმისათვის ძალა არ შესწევს, გადაუწყვეტია, მიმართოს რომელსამე ქართულ დაწესებულებას და სთხოვოს, რომ მან იკისროს ამ საქმის გაძღოლა და მოგებიდან რამდენიმე პროცენტი აიღოს.

✦ **განთავისუფლება.** როგორც ვიცით, ამ რამდენიმე ხნის წინად საფრანგეთში, ქალაქ ბორდოში დააპატიმრეს სტუდენტი ლამბაშიძე. რუსეთის მთავრობამ მოითხოვა ლამბაშიძის გაცემა. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, საფრანგეთის მთავრობას უარი უთქვამს რუსეთისთვის და ლამბაშიძე გაუნთავისუფლებიათ.

✦ **ახალი ვიცე გუბერნატორი.** „ბაკუ"-ს სიტყვით, კავკასიის ნამესტნიკის კანცელიარიის საქმის მწარმოებელი სტრატონოვი ერევნის ვიცე-გუბერნატორად დაუნიშნიათ.

✦ **შეწირულება.** „კავკაზი"-ს სიტყვით, ხელმწიფე იმპერატორს სურამში ცეცხლისაგან დაზარალებულთათვის სასარგებლოს ხუთასი თუმანი შეუწირავს.

✦ **ხოლერა.** სააგენტოს სიტყვით, უკანასკნელ კვირის განმავლობაში ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა 8, გარდაცვლილა 1 კაცი.

✦ **წრე და სექცია.** 25 ოქტომბერს მოხდა შეერთებული სხდომა ახლად შემდგარ სახალხო წარმოდგენების წრის და ქართულ წარმოდგენების სექციის. შეერთებულმა სხდომამ სასურველად სცნო დამოუკიდებლად მოქმედება, მხოლოდ არა იმ წესდებით, რომელიც ახალმა წრემ მიიღო სახელმძღვანელოდ, არამედ ისეთის წესდებით, რომელიც დემოკრატიულ ნიადაგზე იქნება აგებული და თვით სექციის მიერ შემუშავებული.

✦ **დრამის ფული.** რუსულ გაზეთებს სოფ. მარტყოფიდან (ტფ. მაზრა) ატყობინებენ: ამ დღებში, ტფილისის მაზრის უფროსის შანშიევის თანადასწრებით გლეხებმა გადასწყვიტეს, ადგილობრივ სამღვდელოებას ყოველმა კომლმა დრამის მაგივრად 3 მანეთი და ათი შაური აძლიოს. ამ ფულს სოფლელები ხაზინაში შეიტანენ. გადაწყვეტილია ამას გარდა სამღვდელოებას ღვთისმსახურებისთვის არარაფერი მისცენ.

✦ **ლექცია.** შაბათს, 24 ოქტომბერს, ქართულ თეატრში გრ. რობაქიძემ წაიკითხა თავისი ლექცია მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ. პირველად სცენაზე გამოვიდა ივ. გომართელი, რომელმაც დამსწრეთ მოკლედ გააცნო ნიკ. ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. შემდეგ თავ. ნ. ერისთავმა წაიკითხა რამდენიმე ლექსი ბარათაშვილისა და ბოლოს გრ. რობაქიძემ წაიკითხა ლექცია. თეატრი თითქმის სავსე იყო. სხვათა შორის, ამ ლექციისთვის სოფლიდან ჩამოვიდა განსვენებულ მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის ღვიძლი და კნ. ბარბარე ორბელიანისა. დამსწრე საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა სამივე მონაწილე—რობაქიძე, გომართელი და ერისთავი. ლექციების შესახებ ხვალ მოვათავსებთ არჩილ ჯორჯაძის ვრცელ წერილს.

✦ **გადაყვანა.** „ტფ. ლისტ." სიტყვით, გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი გ. ი. სოკოლსკი დაუნიშნიათ პოლოცკის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად, იმის ადგილზე დაუნიშნიათ სტაროოსკოლსკის (კურსკის გუბერნია) სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწე ი. გ. პოპოვი. ამავე გაზეთის სიტყვით, ტფ. სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ა. ვ. ნიკოლსკი დაუნიშნიათ ირკუტსკის სემინარიის მასწავლებლად. ნიკოლსკი ფილოსოფიის მასწავლებლად იყო.

✦ **ტფ. სასულიერო სემინარიაში.** ტფ. სასულიერო სემინარიის მოძღვარი ლობაძე და ეკონომი მღვდელი ჯაოშვილი სხვა ადგილზე გადაჰყავთ.

✦ **მასწავლებელი.** ტფ. პირველ საკომერციო სასწავლებელში ლოღიკის, ფსიხოლოგიის, რუსულ ლიტერატურის ისტორიის მასწავლებლად დაუნიშნიათ ივ. ტ. პოლუმორდინოვი.

✦ **მკვლელობა:** „კავკ." თიანეთიდან ატყობინებენ: ამ დღეებში სოფელ ბაზღეთის მცხოვრებლებმა ბაისუკუს მუხაურმა და მისმა ძმისწულმა უმაგო მუხაურმა მოჰკლეს ბუდურგურის ქვრივი თოიკო. თოიკო ბუდუგურთან ერთად იყო მისი ქალი გობა, რომელმაც დედის მკვლელობა თავის ნათესავებს აცნობა. მოკლულის ნათესავები მკვლელებს კვალ-და-კვალ დაედევნენ. მკვლელები სოფელ კოკინახოს მახლობლად, გამოქვაბულში დამალულიყვნენ. იქ გარს შემოერტყნენ მკვლელებს. ამასობაში გაჩნდნენ მკვლელების ნათესავები და შეეცადნენ ნათესავების განთავისუფლებას. მკვლელებმა სროლა დაუწყეს ბადურგურის ნათესავებს, ამ უკანასკნელებმა სროლითვე გასცეს პასუხი. დაიჭრა ერთი მკვლელთაგანი, ბაისაგურ მუხაური. როგორც იყო სახანოსის საზოგადოების მამასახლისმა მოაგვარა საქმე და ორივე მხრის თანხმობით მკვლელები თავმდებობით გაანთავისუფლა.

✦ **ტრამვაიზე.** დღემდე ახალ ხელ-შეკრულებაზე ხელი მოუწერია 50-მდე კაცს. რადგან სამსახურიდან დათხოვნილად ითვლება ბევრი მოხელე, გუშინ სამოც კაცზე მეტი (კონდუქტორი და ვატმანი) მივიდა ტფ. გუბერნატორთან და სთხოვა დახმარება. მთხოვნელებმა გუბერნატორს აცნობეს, რომ ძველი ხელშეკრულება კანონიერად არის შესრულებული და ეხლა უსახელო საზოგადოება არღვევს ხელ-შეკრულებას, ამიტომ ნება მოგვეცით, მოსამსახურეებმა საერთოთ მივმართოთ დირექტორს ანგარიშის გასასწორებლად ძველის ხელ-შეკრულების თანახმადაო. მოხელეებმა ისიც სთხოვეს გუბერნატორს, თუ ჩვენ საერთოდ მივალთ დირექტორთან და ანგარიშს მოვთხოვთ, ადმინისტრაცია გაფიცვად ნუ ჩათვლის და ამისათვის ნუ დაგვსჯისო. გუბერნატორმა ნება დართო ანგარიშის მოთხოვნისა. ტრამვაის მოსამსახურენი დღეს, 27 ოქტომბერს, გამოცხადდებიან დირექტორთან. „მომავალი" სწერს: „დირექციამ უკვე 100-მდე ახალი მოსამსახურე კონდუქტორ-ვატმანი მიიღო, რომელთაც თანხმობა განაცხადეს ახალ პირობებში სამსახურზე. დირექციის დადგენილებით, ახალი მოსამსახურენი უპირველეს ყოვლისა უმთავრესად რუსები უნდა იყვნენ, ამასთან უცოლ-შვილონი და „ზაპასნოი" სალდათები და პოლიტიკურად კეთილ-საიმედოების მოწმობები ადმინისტრაციისაგან უნდა წარადგინონ. ტრამვაის დირექციის განუზრახავს აგრეთვე მოსამსახურეებისთვის უკვე დაარსებული ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სრულიად გაუქმება და იმ შენობაში, სადაც სამკითხველოა, „ამბულატორიის" გადატანა. ბიბლიოთეკა 4 წელია, რაც არსებობს".

✦ 24—25 ოქტომბერს ტფ. სხვა და სხვა უბანში მოხდა შემდეგი ამბები: დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს სანდრო სუჯუნაშვილი, დანიელ ჯანაევი და არტემ დონიანცი, რომელნიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავიანთ ნებით დაბრუნებულან. პოლიციის მე-5 ნაწილში გაჩხრეკის დროს დააპატიმრეს 6 უპასპორტო კაცი; თეოდოროვის ქუჩაზე, ერთ აფიცრის სახლიდან, მორგებულის გასაღებით ქურდებს გაუტანიათ აფიცრის სამი პალტო (150 მან. ღირებული) და ერთი ქალის პალტო (30 მან.). სურფ-სარქისის ქუჩაზე მუსა ტომუვის სახლიდან მოსამსახურეს იაკობიძის ქალს მოუპარავს ნივთები და ფულად 100 მან. იაკობიძისა დააპატიმრეს. 24 ოქტომბერს გოლოვინის აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებაში შესულა ყარამან კვინტელია და მოუპარავს 1 მან. საქონელი. კვინტელიას სხვა ნივთებიც აღმოაჩნდა და ამის გამო იგი პასუხის გებაში მისცეს. რუმინიის ქვეშევრდომის მორის კონსბრუნერისთვის მიხეილის პროსპექტზე პროჟექტორ „ელქეფონში" მოჰპარეს 4000 მანეთად საღირალი მატორი, „ავანსის" ფაბრიკისა, 30 ძალიანი. მოპარული მოტორი აღმოჩნდა ავჭალის ქუჩაზე მეიერ კარლინსკის კარაქის საკეთებელ ქარხანაში. ველიამინოვის ქუჩაზე გიორგი ჩაავეშტოვის სახლიდან ქურდებს გაუტანიათ 95 მანეთის ნივთები. ქურდი გუსეინ ასად-ზადე უკვე დააპატიმრეს. 24 ოქტომბერს პოლიციამ დააპატიმრა მიქელ დემურაშვილი, რომელსაც ბრალდება ტფილისის მაზრის მც. თედო მაჭავარიანის საჯინიბოდან ცხენის მოპარვაში მონაწილეობა. კრწანისში დააპატიმრეს ისაკაძე, რომელსაც დაჰბრალდა ჯანჯულაზოვისთვის მუქარით ფულის მოთხოვნა. პოლიციის მე-10 ნაწილში დააპატიმრეს გიორგი პაჭუაშვილი, რომელსაც პარიკმახერის სიმონ ჯაფარიძის სახელოსნოდან 6 მან. მოეპარა.

# პატარა ფელეტონი

## გულ-მავიწყი მთავრობა

ძველად პეტერბურგის უნივერსიტეტში პროფესორობდა ერთი ფრიად გულ-მავიწყი მოხუცი მეცნიერი.

გულ-მავიწყობა ხომ მეცნიერთა ჩვეულებრივი თვისებაა, იმ გარემოებით გამოწვეული, რომ ისინი უმრავლესად ცხოვრებას მოწყვეტილნი და სამეცნიერო კაბინეტში გამომწყვდეულნი არიან.

ჩვენი მოხუცი კი ამ მხრივ წრეს გადასულად გულ-მავიწყი იყო. ამბობენ, ერთხელ სალამო ხანს თავის ნაცნობ ოჯახს ეწვია სტუმრად, დერეფანში პალტო გაიხადა, და, ფიქრებში ღრმად გართული, ეს პალტო სასტუმროს ღიაბულ კარებში შეაგდო, პალტოს მაგიერ კი თითონ ტან-საცმელის დასაკიდ ლურსმანზე ყელსახვევით ჩამოეკიდა. კარგია, დროზე შეუსწრეს მასპინძლებმა და ამ სახიფათო გულ-მავიწყობის ფათერაკს გადაარჩინესო.

სხვათა შორის, ეს ფრიად თავისებური პროფესორი ერთხელ ენათა წარმოშობის და განვითარების ისტორიას უამბობდა თავს მსმენელ სტუდენტებს უნივერსიტეტის აუდიტორიაში. აუხსნა დამსწრეთ, თუ რა და რა აზრისა და შეხედულებისანი არიან სხვა და სხვა მეცნიერნი ამ საგნის შესახებ, როგორ ესმით მათ ენათა წარმოშობა და განვითარება მთელ დედა-მიწის ზურგზე. ბოლოს, როცა მოხუცმა მეცნიერმა სხვა მეცნიერთა აზრების გადაცემა დაასრულა, თავის მხრივ დასძინა, ახლა ჩემი აზრიც უნდა მოგახსენოთ ამ საგნის შესახებაო, სთქვა, გაჩუმდა და ხელი მარჯვენა უბის ჯიბისაკენ წაიღო, სადაც შენახული ეგულებოდა ქაღალდზე დაწერილი და დაწვრილებით განმარტებული თავისი აზრი ამ საყურადღებო საგნის შესახებ. მარჯვენა უბის ჯიბეში სასურველი ქაღალდი არ აღმოაჩნდა. მაშინ მოხუცმა პროფესორმა მარცხენა უბის ჯიბე ააფორიაქა: იქაც ვერაფერი იპოვა. შემდეგ შარვლისა და პიჯაკის ჯიბეებიც გადმოატრია. ლო, წარბ შეკვრითა და გამწარებულ სახის გამომეტყველებით ეძებ და იქ თავის ქაღალდს, მაგრამ... ყოველივე ამაოდ. ბოლოს მწუხარებით დაფიქრდა და ნაღვლიანის ხმით გამოუცხადა დამსწრე სტუდენტებს „უკაცრავად... ჩემი აზრი... შინ დამრჩენიაო".

ამ გვარივე ხასიათისა, მხოლოდ არა გულ-უბრყვილო, არამედ ერთობ ვერაგული გულ-მავიწყობა გამოიჩინა ამ ბოლო დროს ჩვენმა სასიქადულო მესვეურმა და ხალხის მართვა-გამგეობაში ფრიად გაწაფულმა და მეცნიერმა მთავრობამ, იმან თავის მაღალ ადგილიდან განუმარტა მთელ თავის მსმენელ და შემყურე რუსეთის ხალხს, სარწმუნოება, ღვთის-აღსარება—თვითეული მკვიდრის თავისუფალი საქმე უნდა იყოსო. თვითეულ მკვიდრს მთელი სახელმწიფოსას ნება უნდა მიეცეს ღვთის შესახებ თავისი ნაფიქრი და ნაგრძნობი მოყვასსა და მეზობელს თავისუფლად გაუზიარ.ოსო. სარწმუნოების თავისუფლების შესახებ შედგენილი კანონ-პროექტიც გადაუშალა მთავრობამ თვალ-წინ მთელ რუსეთის ხალხს და ეს კანონ-პროექტი სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა. და ბოლოს კი, როცა საქმე სარწმუნოების ამ თავისუფლების ასრულებაზე მიდგა, მთავრობა უეცრივ შეჩერდა, თავის უბისა, პიჯაკის და შარვლის ჯიბეებში გამწარებით რაღაცას ძებნა დაუწყო, ძირიანად გადმოატრიალა თავისი ჯიბეები გაოცებით იმის შემყურე მთელი რუსეთის ხალხის წინაშე, მაგრამ... ყოველივე ამაოდ. ბოლოს მწუხარებით დაფიქრდა და ნაღვლიანის ხმით გამოუცხადა მთელ ამ ვეება სახელმწიფოს მკვიდრთ: „უკაცრავად... ჩემი აზრი... იმის შესახებ... შეიძლება თუ არა ჩვენში ღვთის თავისუფალი აღსარება... სინოდში დამრჩენია... და სანამ მას არ მივმართავ სარწმუნოების თავისუფლებას ვერ განვახორციელებო."

ი. ნაკაშიძე.

# მუშაობისა და დასვენების დრო

ქუთაისის ქალაქის საბჭომ გამოსცა შემდეგი სავალდებულო დადგენილებანი მუშაობის და დასვენების დროს შესახებ ქუთაისის სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში.

1. ქუთაისის სავაჭრო დაწესებულებებსა, კანტორებსა, საწყობებსა, რომელთაც სავაჭრო-სამრეწველო ხასიათი აქვთ, და სახელოსნოებში მოსამსახურეებმა 11 საათი უნდა იმუშაონ. ამასთან მოსამსახურეს დღეში სასადილოდ ეძლევა ერთი საათი.

2. სამანუფაქტურო, საგალანტერეიონო, საბაკალეიონო, საგასტრონომიო და წიგნის მაღაზიებში, ღვინის სარდაფებსა, თევზის საწყობებსა, აფთიაქის საწყობებსა და კანტორებში მუშაობა ზამთარში იწყება დილის 8 საათზე და თავდება სალამოს 7 საათზე; ზაფხულობით იწყება დილის 7 საათზე და თავდება სალამოს 7 საათზე. ამ რიცხვში შედის 2 საათი დასასვენებლად და სასადილოდ.

3. დუქნებსა, საყავოებსა, საჩაიებსა და სარძევეებში მუშაობა იწყება დილის 7 საათზე და თავდება სალამოს 10 საათზე, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ თვითეულმა მოსამსახურემ 11 საათზე მეტი არ უნდა იმუშაოს.

4. ბუდკებში, ცოცხალ თევზით სავაჭროებში, ხორცისა და საწვრილმანო დუქნებში და აგრეთვე მოედნებზე, სადაც ხილეულობითა და მწვანილეულობით ვაჭრობენ, მუშაობა იწყება დილის 6 საათზე და თავდება სალამოს 10 საათზე, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ თვითეულმა მოსამსახურემ დღეში 11 საათზე მეტი არ უნდა იმუშაოს.

5. ყველა იმ სავაჭრო დაწესებულებაში, სადაც მუშაობა 11 [illegible] გრძელდება, [illegible] ტუმროებსა, [illegible] ებსა, საკანდიტრო[illegible] და დაწესდეს ორი წყება მოსამსახურეებისა ისე, რომ თვითეულმა მოსამსახურემ 11 საათზე მეტი არ იმუშაოს

6. წაღების სახელოსნოებში, სახარაზოებში, აზიურ და ევროპიულ ტანისამოსის სამკერვალოებში, ოქრომჭედლებისა და მესაათების სახელოსნოებში, სადურგლოებში, სამჭედლოებში, სლესრისა და ჟესტის სახელოსნოებში, სტამბებსა, ფოტოგრაფიებსა და ხელოვნურ სასმელ წყლების დაწესებულებებში ზამთრობით მუშაობა იწყება დილის 8 საათზე, თავდება სალამოს 7 საათზე, ზაფხულობით—დილის 7 საათზე, თავდება სალამოს 6 საათზე.

7. საპირკმახეროები და სადალაქოები მთელი წლის განმავლობაში იღება დილის 8 საათზე და იკეტება სალამოს 9 საათზე.

8. საკანდიტროებსა და ფურნეებში ვაჭრობა სწარმოებს დილის 6 საათიდან სალამოს 11 საათამდის.

9. სავაჭრო დაწესებულებებსა და სახელოსნოებში მომუშავე მცირე წლოვანნი, ე. ი. 17 წლისაზე უმცროსნი, სასადილოდ გადადებულ დროს გარდა, უნდა განთავისუფლდნენ დღეში სამ საათს, სალამოს 4-დან 7 საათამდის. ეს დრო საჭიროა სკოლებში სასიარულოდ. ამ თუ იმ სავაჭრო დაწესებულების პატრონს უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მცირე წლოვანმა მოსამსახურეებმა ეს დრო სკოლაში გაატარონ.

10. აღდგომისა, ქრისტეს შობისა და სულის მოფენის პირველ დღეს ვაჭრობა და მოსამსახურეების მუშაობა აკრძალულია.

11. კვირა დღეებსა და ათ თორმეტ დღესასწაულებში, გარდა აღდგომის მეორე-მესამე დღისა, ქრისტეს შობის მეორე დღისა, ახალ წლისა, სულის მოფენისა და ნინოობას, ყველა სავაჭრო და სახელოსნო იკეტება. ამ დღეებში ღიაა მხოლოდ ის სავაჭროები, სადაც საჭმლით და სასმლით ვაჭრობენ, სასტუმროები, რესტორანები და ბაკები. ამას გარდა, ბუტკებში, ხორცისა და ცოცხალ თევზით სავაჭროებში, ბაზარში, სადაც მარტო მწვანილით და ხილით ვაჭრობენ ამ დღეებში ზამთრობით ვაჭრობა იწყება დილის 7 საათზე და თავდება სალამოს 10 საათზე, ზაფხულობით იწყება დილის 6 საათზე და თავდება სალამოს 9 საათზე. ფოტოგრაფიებში ამავე დღეებში ზამთარ-ზაფხულ მუშაობაა 12-დან 5 საათამდე; აბანოებში, საპირკმახეროებში და სადალაქოებში ზამთარ-ზაფხულშივე — დილის 10 საათიდან, ნაშუადღევის 2 საათამდე; პურის საცხობებსა და საკანდიტეროებში—დილის 6 საათიდან სალამოს 6 საათზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზამთარი ითვლება პირველ ოქტომბრიდან პირველ აპრილამდე, ზაფხული პირველ აპრილიდან პირველ ოქტომბრამდე.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** კვირას, 25 ოქტომბერს, ქართულ თეატრში წარმოადგინეს „ორი ჯიბგირი". როგორც ყოველთვის, ამ სალამოსაც კარგები იყვნენ გაბუნია-ცაგარლისა (ზეფირინა), ვ. აბაშიძე (ლიმას) და ტ. აბაშიძე (ფანფან), სვიმონიძე (მიულო).

შემდეგი წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათს, 29 ოქტომბერს. წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა „იმედის დალუპვა".

**სახალხო წარმოდგენა.** კვირას ზუბალაშვილების სახალხო სახლში ქართულმა სექციამ წარმოადგინა მოლიერის ხუთ-მოქმედებიანი კომედია „ტარტიუფი". სწორედ გითხრათ, იმედი არა მქონდა, რომ სცენის მოყვარენი შესძლებდნენ ამ კომედიის კარგად წარმოდგენას. მაგრამ იმედი ცოტად თუ ბევრად გაცრუვდა. მთავარი როლი (ტარტიუფი) შეასრულა ბ-ნმა ზარდალიშვილმა. თუმცა ზარდალიშვილს ეტყობოდა ემუშავნა, მაგრამ მან მაინც სავსებით ვერ დასძლია როლის სიძნელე. და ეს არც გასაკვირველია, რადგან ამ შემთხვევაში სურვილი საკმაო არ არის. ბ-ნი გოცირიძე კარგი იყო ორგონის როლში და აკი კიდეც ერთი-ორი ზედ-მეტი ტაში მიიღო. მოეწონა საზოგადოებას ქ-ნი ქიქოძეც (ორგანის ცოლი, ელმირი). ამ სალამოს საზოგადოების ყურადღება მიიქცია ქ-ნმა თამარიშვილმა (დორინა, მარინეს მოახლე). თამარიშვილმა რიგიანად ჩაატარა თამამ, ჭკვიან და მოხერხებულ მოსამსახურის როლი, მაგრამ ზოგიერთ ადგილებში, ცოტა არ იყოს, აჭარბებდა. ამასთან სახეზე მეტად ბევრი წამალი წაესვა. მიუხედავად ამისა, თამარიშვილი ღირსი იყო იმ ტაშისა, რომლითაც იგი დააჯილდოვეს. არა უშავდა-რა აგრეთვე ქ-ნ გოგოლაშვილს (ორგანის ქალი, მარინე). დანარჩენებზე არას ვიტყვი, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ორგანის

დედა, ქვრივი პერნელი თავის შვილზე უფრო ახალგაზრდა იყო. ბ-ნნი მეტრეველი (ორგანის შვილი, დამი), პეპანოვი (ვალერი, მარინეს არშიყი), ინაშვილი (კლეანტი, ელმირის ძმა), სუსტობდნენ, თუმცა სხვებისათვის ხელი არ შეუშლიათ.

მცირე შენიშვნა სახალხო სახლის ადმინისტრაციას. ვერ იქნა და ვერ მოახერხეს, რომ ყველა თავის ადგილზე იჯდეს. მოწაფენი ხომ საქმეს აჭირებენ. არ დაგიდევენ ვისია ადგილი. ესეც რომ არ იყოს, წარმოდგენის დროს ისე უჭირავთ თავი, გეგონებათ მათ მეტი თეატრში არავინ არის. ამასთან ყველა ესენი თავიანთ თავს მოვალედ სთვლიან საზოგადოება დააწყნარონ და თუ ვისმეს უბედურება შეემთხვა და დაახველა, იქითაქედან მოჰყვებიან ყვირილს: „ტიშე", „სსსუ", „ჩუმად" და სიჩუმის ჩამოგდების ნაცვლად, ერთი აურ-ზაური ასტყდება ხოლმე.

# სასამართლო

**ჩამოხრჩობა.**

23 ოქტომბერს კავკ. სამხედრო-ოლქის სასამართლოს სესიამ ქუთაისში განიხილა საქმე შორაპნის მაზრის მცხოვრებთა სიკო და სიმონ მასხარაშვილებისა, ვარლამ ჩუბინიძისა და პეტრე და გიორგი ცუხიშვილებისა, რომელთაც მკვლელობა ჰბრალდებოდათ. შარშან ზაფხულში საჩხერიდან ცუხიშვილებს წაუყვანიათ ზემოდ დასახელებული პირნი სოფ. ჩიხაში და მიუყვანიათ თაზო ცუხიშვილის გასაცარცვავად. ბრალდებულ ცუხიშვილებს მთვრალ კომპანიისათვის უთქვამთ, წავიდეთ თაზოს 2000 მან. აქვს და წავართთოთ. შეცვივნიან თაზო ცუხიშვილს, მოუკლავთ თაზო და დომენტი ცუხიშვილები და დაუჭრიათ ცოლი, შვილები და ძმა. როცა გამოფხიზლებულან ნაქეიფარნი, მასხარაშვილებისათვის სინდის უმხილებია, წასულან და რაც ნაუდენიათ, პოლიციისათვის უამბნიათ.

ოლქის სასამართლომ ბრალდებულნი დამნაშავედ იცნო და ხუთივეს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

ამასთან სასამართლომ დაადგინა, შუამდგომლობა აღიძრეს, რომ მასხარაშვილებსა და ჩუბინიძეს ჩამოხრჩობა კატორგაში გაგზავნად შეეცვალოთ.

ბრალდებულთ იცავდა ნაფიცი ვექილი ჯაფარიძე.

**ქრთამის აღება.**

1908 წელს აგვისტოში მერვე ნაწილის ბოქაულს ზიფიროპულოს (მკვდარია) დაუტუსაღებია კარაპეტ არდასიანცი, რომელსაც ჰბრალდებოდა ცარცვა-გლეჯა. როდესაც ეს ამბავი გაუგია იმის ძმას ოჰანეზ არდასიანცს, შეცდილა მის განთავისუფლებას. მაშინვე მიუმართავს ბოქაულისათვის. მაგრამ ბოქაულს ძალიან შორს დაუჭერია თავი და ორიოდეც კი წაურტყავს. ამ დროს იქ ყოფილა მაძიებელ პოლიციის ზედამხედველი საფაროვიც. როდესაც ოჰანეზ არდასიანცი გარედ გამოსულა, მას შეხვედრია აგენტი არჩილ ქოქოშვილი, გამოუკითხავს მისვლის მიზეზი და შემდეგი წინადადება მიუცია: მომეცი 100 მანეთი, საფაროვს გადავსცემ და საქმეს ეშველებაო. ოჰანეზ არდასიანცს ულაპარაკოთ მოუტანინებია თავის მმისათვის 100 მან. და გადაუცია ქოქოშვილისთვის, ხოლო მას საფაროვისთვის. და მისი ძმა კარაპეტაც გაუნთავისუფლებიათ. ეს ამბავი საბრალმდებლო ოქმშია აღნიშნული.

ბრალდებულმა ალ. საფაროვმა თავი დამნაშავედ არ იცნო. მან განაცხადა: მე მომმართა ჩვენმა აგენტმა ქოქოშვილმა თხოვნით, რომ მეშუამდგომლა კ. არდასიანცის გასანთავისუფლებლად და როდესაც დავრწმუნდი არდასიანცის სიმართლეში, გავანთავისუფლებინეო.

ამ საქმეზე 7 მოწამე დაიბარეს. ოჰანეზ არდაზიანცმა უარჰყო წინასწარ გამოძიების დროს ნაჩვენები და სთქვა: მე საფაროვისათვის ფული არ გადამიცია, გადავეცი მხოლოდ არჩილ ქოქაშვილს და თუ მე გამომძიებელთან საფაროვს დავადე ხელი, ეს ბოქაულის ზაფიროპულოს შიშით მოვიმიდე, რადგან გამოძიების წინად თან შემიყვანა თავის კაბინეტში და რევოლვერით ხელში რაღაც ქაღალდზე ხელი მომაწერინა და მიბრძანა, საფაროვზე მეჩვენებინა.

ეს საქმე ოლქის სასამართლომ 26 ოქტომბერს განიხილა, თამნაშავედ იცნო საფაროვი ქრთამის აღების ხელის შეწყობაში და მიუსაჯა ერთი წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

**მკვლელობა.**

26 ოქტომბერს ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე, ბორჩალოს მაზრის სოფ. თაზაკენტის მცხოვრებთა ალი კიაზიმ-ოღლის, ფატმა ყურბან-კიზის და შახსანამ ყურბან-კიზისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ფატმა ყურბან-კიზის ქმრის სულეიმან მუსტაფა-ოღლის მოკვლა.

1907 წელს 9 ოქტომბერს, როდესაც სულეიმან მუსტაფა-ოღლი ტყიდან დაბრუნებულა, თავის სახლთან ვიღაცას უსროლია მისთვის თოფი. დაჭრილი იქვე დაცემულა. უცნობს თავი მოუბრია მისთვის და მიმალულა. 8 თვის შემდეგ გამორკვეულა შემდეგი: მოკლულს სულეიმანს მოუტაცნია ქალი გიულ ხანუმ-მუსტაფა-კიზი, შეურთავს მეორე ცოლად და მიუცია მისთვის ცალკე ოთახი. ამ მეორე ცოლს იგი კარგად ეპყრობოდა თურმე. პირველ ცოლს ფატმა კურბან-კიზის შეშურებია ასეთი მოპყრობა ქმრის მიერ და თავის დას შახსანამ კურბან-კიზისთან ერთად გადაუწყვეტია სულეიმანის მოკვლა. ამისთვის შეუსყიდნიათ ალი-კიაზიმ-ოღლი. ასე გადმოგვცემს საბრალმდებლო ოქმი.

ამ საქმეზე 10 მოწმე იყო დაბარებული. მაგრამ ვერ დაამოწმეს თავიანთი ნალაპარაკევი წინასწარ გამოძიების დროს.

ბრალდებულთ იცავდნენ ნაფიცი-ვექილები ტურკევიჩი და სტეფანოვი. სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო ბრალდებულნი და გაამართლა.

# უცხოეთი

**საბერძნეთის ამბები.**

მეამბოხე ტიპალდოსმა ამბოხების დაწყებამდე მოითხოვა მთავრობისაგან და სამხედრო კავშირისაგან, რომ ის სამხედრო მინისტრად დაეყენებინათ. ტიპალდოსს უნდა მიეღო სამხედრო მინისტრის პორტფელი საჭირო რეფორმების მოსახდენად ფლოტზე და ამასთან დაეთხოვა ჯარიდან უნიჭო და მოხუცი აფიცრები. მთავრობის ოფიციალური ცნობით, ტიპალდოს ცხრა აფიცერი უჭერდა მხარს და 300 ჯარის კაცი. ნამდვილად კი, როგორც ეხლა ირკვევა, ტიპალდოსს ბევრი მომხრენი ჰყოლია აფიცრებში და ჯარში და თუ ამათ მონაწილეობა არ მიუღიათ აჯანყებაში ეს იმის გამო, რომ მთავრობა წინდაწინვე აჯანყების მოლოდინში იყო და ბევრი ტიპალდოსის მომხრე აფიცერი და ჯარისკაცი დააპატიმრა.

სამხედრო კავშირი უკმაყოფილო იყო ტიპარდოსის გამოსვლით. პროკლამაციაც გამოსცეს და პასუხი გასცეს ტიპალდოსის მოთხოვნილებაზე. ამ უკანასკნელს ფიცი მიუცია სამხედრო კავშირისათვის, უთქვენოდ ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამო. პროკლამაციაში აღნიშნულია, რომ ტიპალდოსი ვიღაც ბნელი ძალების შთაგონებითა მოქმედობს. სამხედრო კავშირმა საბოლოოდ ამოშალა თავის სიიდან ტიპოლდოსის გვარი.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ მთავრობამ ჩააქრო აჯანყება, მეამბოხეთა მეთაურნი შეიპყრო და სამართალში მისცა. მაგრამ უცხოეთის გაზეთების აზრით საბერძნეთის მდგომარეობა მეტად სერიოზულია. „ფოსიშე ცეიტუნგი" იტყობინება, რომ სახელმწიფო გამგეობის სხვა დარგებშიც ისეთივე მოძრაობაა, როგორც მეზღვაურია შრისაო. დაბალ მოხელეთა შორისაც დიდი უკმაყოფილებაა. აშკარად თხოულობენ უფროსების გადაყენებას. უმაღლეს სასწავლებლებშიაც კი პრივატ - დოცენტები თხოულობენ დამსახურებულ და მოხუც პროფესორებს ჩამოერთვათ კათედრები, როგორც უნიჭებსაო. საბერძნეთის ყველა დაწესებულებებში ასეთი ამბებია. შესძლებს თუ არა საბერძნეთის უმაღლესი მთავრობა ამ კრიზისისაგან თავის დაღწევას— ძნელი სათქმელია.

**ალბანელთა მემორანდუმი.**

სტამბოლის ალბანელთა საზოგადოებამ დიდ ვეზირს მემორანდუმი წარუდგინა და მოითხოვა დაპატიმრებულ ალბანელ მეამბოხეთა სასჯელის პატიება; აგრეთვე ალბანელები თხოულობენ სასულიერო საკითხებში მეტი თავისუფლება მიენიჭოთ. ამასთან მოითხოვეს, იმ მოხელეებმა, რომელნიც ალბანიაში იქმნებიან დანიშნულნი, აუცილებლად ადგილობრივი ენა უნდა იცოდნენო.

**ოსმალეთის აფიცრები და პოლიტიკური პარტიები.**

ამას წინად ვწერდით, რომ ოსმალეთის აფიცრები დაემორჩილნენ გენერალისიმუსის მითხად-ფაშის ბრძანებას საიდუმლო პოლიტიკურ პარტიიდან გამოსვლაზე. ეხლა სალონიკიდან იუწყებიან, აფიცრები გარეგნულად თუ გაუდგნენ კომიტეტიდან და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დაამშვიდონ ევროპის აღელვებული საზოგადოებრივი აზრი. ევროპამ რამდენჯერმე გამოსთქვა უკმაყოფილება კომიტეტის საიდუმლო მოღვაწეობაზე.

**მითხად-ფაშის გასამართლება.**

ამ დღეებში სტამბოლში განიხილავენ მითხად-ფაშის საქმეს. ეს საქმე მეტად სერიოზულია. მითხად ფაშას აბრალებენ სულთანის აბდულ-აზიზის მოკვლაში მონაწილეობის მიღებას. ბრალდება აბდულ-აზიზის შვილის განცხადებით არის გამოწვეული.

**ასაფეთქებელ ნივთიერებით დატვირთული გემი.**

სტამბოლის ახლოს ოსმალეთის მთავრობამ დაიჭირა გემი, რომელიც ასაფეთქებელ ნივთიერებით იყო დატვირთული. გემს საბერძნეთის მეამბოხეთათვის მიჰქონდა ასაფეთქებელი ნივთიერება.

**ჟურნალ-გაზეთები საფრანგეთში.**

ამ ჟამად პარიზში გამოდის 3,591 ჟურნალ-გაზეთი საფრანგეთის სხვა ადგილებში—5,189, მის კოლონიებში 326, სულ მთელ საფრანგეთში 9,306 პერიოდული გამოცემა. ამ სამოცი წლის წინად ყველაზე გავრცელებული ჟურნალ-გაზეთები სიდიდით უბრალო ხელსახოცის ოდენა ძლივს იყო. ეხლა-კი ისე გადიდდა ფორმატი ამ გაზეთებისა, რომ სიგძე ზოგს ორ არშინამდე აქვს, სიგანე არშინ ნახევარი. ამ სამოცი წლის წინად თუ გაზეთები ხელით სამუშაო მანქანაზე იბეჭდებოდა ეხლა დიდ ისეთ მანქანაზე იბეჭდება, რომლებიც ჰბეჭდავენ, სჭრიან და ჰკეცავენ ერთი საათის განმავლობაში ასი ათას ცალს გაზეთს. საფრანგეთში 9,306 გამოცემიდან 3,489 ყოველ დღიურია, ამერიკაში 14,917 გაზეთია და უფრო დიდი ნაწილი ყოველ დღიური. გაზეთი „Daily and New-vork Press" ყოველ დღე ორჯელ გამოდის და თითო ნომერი 60 გვერდს შეიცავს.

**რუმინელ სოციალ-დემოკრატების დევნა.**

ბაქოს გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ, რუმინიის მთავრობა შეუდგა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დაშლას. დააპატიმრეს პარტიის რამდენიმე ცნობილი მოღვაწენი. ამის გამო კონსტანცსა, გალათსა და ბრაილოვში საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. ზოგიერთ ადგილებში ჟანდარმებსა და მუშებს შორის შეტაკება მოხდა. რუმინიის დედა ქალაქ ბუხარესტში მიტინგი გამართეს მუშებმა. ჟანდარმებსა და მუშებს შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროს მოიკლა ოცი და დაიჭრა რამდენიმე ასი კაცი.

**საბერძნეთის საქმეები.**

ჯარისკაცები აფიცრების ბრძანებას აღარ ემორჩილებიან და თხოულობენ, რომ სამხედრო კავშირის აფიცრები სამართალში იქმნენ მიცემულნი. თითონ სამხედრო კავშირის წევრებს შორის უთანხმოება დღითი დღე იზრდება. ჯავშნიან გემების აფიცრობამ გამოუცხადა მთავრობას, ვერ ვიმსახურებთ მეამბოხე ტიპალდოსის მომხრე აფიცრებთან ერთად. მთავრობამ ორში ერთი აირჩიოს, ან ტიპალდოსის მომხრე აფიცრები ან ჩვენაო. მეფის სასახლეს გაძლიერებული რაზმი იცავს. თითონ მეფემ განაცხადა, რომ ჩემის ნებით არ გადავდგები ტახტიდანაო.

**ესპანელი ჯარისკაცები მელილაში.**

მადრიდიდან დეპეშით ატყობინებენ უცხოეთის გაზეთებს, ესპანიელი ჯარისკაცები ათასგვარ გაჭირვებას განიცდიან სიცივეს, წვიმებისა და მეტისმეტი დაღლილობისა გამო. თბილი ტანისამოსი არა აქვთ. ამიტომ ავადმყოფები დიდძალია. საავადმყოფოებში 5,000 ჯარის-კაცაა მოთავსებული.

**სოციალ-დემოკრატების გამარჯვება საქსონიის ლანდტაგში.**

საქსონიის ლანდტაგის დეპუტატების ხელმეორე არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს. წინანდელ ადგილების გარდა სოციალ-დემოკრატებმა ხუთი ახალი ადგილი მიიღეს. კიდევ იმედი აქვთ, რომ შემდეგ ხელმეორე არჩევნებში სოციალ-დემოკრატები კიდევ თავიანთ კაცებს გაიყვანენ დეპუტატებად. კონსერვატორები არჩევნეში დამარცხდნენ, თუმცა იმათ ნაციონალისტებთან კავშირი ჰქონდათ და რამდენიმე ადგილას ერთად გამოდიოდენ არჩევნებში. თავისუფალ მოაზროვნეთა პარტიაც სუსტია. ლანდტაგში ყველაზე ძლიერი პარტია სოციალ-დემოკრატებისა იქნება. ბერლინის გაზეთები დიდის კმაყოფილებით აღნიშნავენ სოციალ-დემოკრატების გამარჯვებას.

**ბიულოვის საცხოვრებელი ადგილი.**

ბიულოვს, გერმანიის ყოფილ საიმპერიო კანცლერს, თავის საცხოვრებელ ბინად იტალიის დედა ქალაქი რომი აურჩევია. ბიულოვის რომში დაბინავებას პოლიტიკურ დანიშნულებას აწერენ. ამ ბოლო დროს იტალიისა და გერმანიის შორის დამოკიდებულობა ძველებურად მეგობრული არ არის. ბიულოვს დავალებული ჰქონია დამოკიდებულება გააუმჯობესოს, იტალიის საზოგადოების დღევანდელი მტრული კილო ავსტრიისა და გერმანიის შესახებ რამდენიმედ დაუშხოს, რაკონიჯში შეხვედრის გავლენა შეამციროს და ამასთან ეცადოს, რომ იტალიის საზოგადოების სიმპატია რუსეთისადმი რამდენიმედ შეასუსტოს.

**ბალკანეთის სლავიან სახელმწიფოთა ფედერაცია.**

ამას წინად ვწერდით, რომ ბოლგარიის მეფე ფერდინანდმა იმოგზაურა სერბიაში, რომ ამ მოგზაურობას პოლიტიკურ ხასიათს აძლევდნენ. ფრანგული გაზეთი „Temps" სწერს, რადგან ავსტრო-ჰუნგრეთი და ოსმალეთი თანდათან უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს, ამიტომ ბალკანეთის სლავიანთა სახელმწიფოები სცდილობენ უფრო შეკავშირდნენ ერთმანეთში. რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი, რასაკვირველია, ეცდება ასეთ კავშირის გამტკიცებას. საფრანგეთიც თანაგრძნობით შეჰხედავს ბალკანეთის სლავიან სახელმწიფოთა კავშირს. თუ კი სერბია, ბოლგარია და ჩერნოგორია შეკავშირდებიან, დღევანდელი მდგომარეობა ბალკანეთის სახელმწიფოებისა უფრო უზრუნველ ყოფილი იქნებაო.

ავსტრიის გაზეთები სხვანაირად უყურებენ საკითხს. ესენი ეხლაც იმასვე იმეორებენ, რასაც წინად ამბობდნენ. ბოსნია-ჰერცოგოვინის შემოერთებით ავსტრიის სლავიანთა სახელმწიფოები, დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამსო. ავსტრიის გაზეთები „Temps"-ის აზრს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, რადგანაც ეს გაზეთი საფრანგეთის ხალხის სურვილის გამომხატველი არ არის. ამ პოლიტიკას ეს ველთვისა ხმარობდნენ, როდესაც ავსტრიის ნდობის შერყევა ჰქონდათ მხედველობაშიო.

# რუსეთი

**✦ პროფესიონალურ კავშირების დახურვა.** „რუსკ. სლოვოს" ეკატერინოსლავიდან დეპეშით ატყობინებენ: ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გადასწყვიტა დახუროს ადგილობრივ პროფესიონალური საზოგადოებანი—სულ ოცდა ხუთი.

**✦ სახალხო განათლების სასახლე.** „რეჩი"-ს სიტყვით გრაფინია ვ. ნ. ბობრინსკაიას გადაუწყვეტია მოსკოვში აგოს სახალხო განათლების სასახლე. ამ სასახლეში უნდა მოთავსდნენ ქალაქ მოსკოვის საგანმანათლებლო დაწესებულებანი. სასახლე ერთი უზარმაზარი შენობა იქნება. ბობრინსკაიას ფულის საშოვნელად შემოუვლ ა მოსკოვის კაპიტალისტები და გრაფინიას სიტყვით თითქმის ყველას დახმარება აღუთქვამთ. შენობის აშენებას 2—3 წელიწადს მოუნდებიან.

**✦ ყალბ ცნობების გავრცელება.** ფინლიანდიის სხვა და სხვა ქალაქებში ვიღაც უცნობები ხმას ავრცელებენ თურმე მთელი ფინლიანდია გაფიცვას და აჯანყებას აპირებს და თქვენც მოემზადენითო. პოლიციას რამდენიმე ასეთი პირი დაუპატიმრებია. დაპატიმრებულები რუსეთიდან ჩასულან. პოლიცია მათ სახელსა და გვარს ჯერ-ჯერობით არ აქვეყნებს.

**✦ დახმარება.** ფინლიანდიის სეიმს 6,000 მარკ. გადაუდვია ახალგაზრდა ჟურნალისტების დასახმარებლად. ამ ფულიდან ახალგაზრდა ჟურნალისტებს დახმარება მაშინ მიეცემათ, როდესაც საზღვარ-გარეთ წავლენ რისიმე დასათვალიერებლად.

**✦ სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: პეტერბურგში 1, ხარკოვში 2, რეველში 1, მოსკოვში 2, უფაში 3, ეკატერინოსლავში 4, ვარშავაში 3 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: კრასნოიარსკში 1, ხარკოვში 1, უფაში 2, პეტერბურგში 3, ოდესაში 2 კაცი.

**✦ აზეფი.** დრო გამოშვებით გაზეთები აზეფის წარსულის ცხოვრებიდან სხვა და სხვა ცნობებს იძლევიან. გაზეთ „ნია პრესს" (ფინლიანდიაში გამოდის) სიტყვით, აზეფს ფინლიანდიაში 2 წელიწადი უცხოვრინია. აზეფს სდომებია ფინლიანდიაში იარაღის საწყობის ალმოჩენა და ტერორისტული აქტების მოხდენა; მაგრამ ამაოდ. რაკი ეს ვერ მოუხერხებია აზეფს უცდია ჰელსინგფორსში ასაფეთქებელ მასალათა ლაბარატორიის მოწყობა, მაგრამ ფინლიანდიელებს უარი უთქვამთ, მეტი იქნებაო.

**✦ გილლერსონის საქმე.** როგორც ვიცით, მთავრობამ სამართალში მისცა ნაფიცი-ვექილი გილლერსონი. გილლერსონი ბელოსტოკში აწიოკებულ ებრაელებს იცავდა. მის სიტყვებში სასამართლომ „აწ არსებულ წესწყობილების" შეურაცხყოფა დაინახა. გილლერსონის საქმეს ამ დღეებში გაარჩევს ვილნოს სამოსამართლო პალატა. გილლერსონს დაიცავენ ყველა სამოსამართლო ოლქის ნაფიც-ვექილთა საბჭოების წარმომადგენლები. პეტერბურგიდან მიდიან გრუზენბერგი და ზარუდნი.

**✦ ათასი ებრაელის დატუსაღება.** ვარშავის გაზეთების სიტყვით, ამ დღეებში ვიტებსკი გუბერნიის სამაზრო ქალაქებში დაუპატიმრებიათ ათას ებრაელამდე. ებრაელები დაუპატიმრებიათ ებრაელთა დღესასწაულის დროს, როდესაც ხალხი თორებში ყოფილან სალოცავად. დაპატიმრებულები არიან ებრაელი ნაფიცი-ვექილები, რაბინები და სხვა. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ რამდენიმე კვირის წინად პოლიციამ ვარშავაში აღმოაჩინა საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც ებრაელ ახალგაზრდობას სხვა და სხვა უკანონო საშუალებით სალდათობისგან ანთავისუფლებდა. ორგანიზაციის აღმოჩენის დროს პოლიციამ ხელში ჩაიგდო ორგანიზაციის წევრთა და სალდათობისგან განთავისუფლებულთა სია.

**✦ ადგილობრივ ენებზე სწავლება.** სახელმწიფო სათათბიროს სახალხო განათლების შესახებ კომისიას დიდი ხნის კამათის შემდეგ შესაძლებლად დაუნახია, რომ ისეთ ადგილებში, სადაც არა რუსობა სცხოვრობს დედა ენა ისწავლებოდეს.

**✦ კიდევ პროვოკატორი.** გაზეთი „გაზმანი" იუწყება, „ბილოეს" რედაქტორმა ბურცევმა გამოაქვეყნა, ებრაელ სოციალისტთა (სეიმოვცები) ცენტრალურ კომიტეტის წევრი ალ. ოს. როზენბერგი პროვოკატორიაო. ბურცევის სიტყვით, როზენბერგი გამოცდილი ცნობილი პროვოკატორია. როზენბერგის წინაშე უმუშავნია სოციალ-დემოკრატებსა და სოციალისტ-რევოლიუციონერებში. ამ რამდენიმე ხნის წინად გავრცელდა ხმა, რომ როზენბერგი პროვოკატორიაო, მაგრამ არავინ დაიჯერა. ბურცევის სიტყვით როზენბერგი ამ ჟამად პეტერბურგში სცხოვრობს.

**✦ კოოპერაციების წინააღმდეგ.** ყუბანის ოლქის ლაბანის განყოფილების ატამანს თავის ხელქვეითებისთვის ცირკულიარი დაუგზავნია. პოლიციის დეპარტამენტს ცნობა აქვს, რომ კოოპერაციების დაარსებაში დიდ მონაწილეობას იღებენ სოციალისტ-რევოლიუციონერები და სოციალ-დემოკრატები. მემარცხენეები კოოპერაციებით სარგებლობენ და ხალხში მთავრობის საწინააღმდეგო აზრებს ავრცელებენო. დასასრულ ატამანი რაიონების უფროსებს წინადადებას აძლევს ამ მოკლე ხანში წარმომიდგინეთ სია კოოპერაციებისა და მათი ხელმძღვანელებისაო. ამასთან ატამანი თხოულობს ცნობებს კოოპერაციების ხელმძღვანელების კეთილსაიმედოობის შესახებ და რაიონის უფროსებს წინადადებას აძლევს კოოპერაციებს სასტიკად ადევნეთ თვალყურიო.

**✦ ადმინისტრატიულად გადასახლებულების რიცხვი** შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობებით ამ ჟამად გადასახლებული ყოფილა 14,460 კაცი. ამ წელს ბევრი გაუნთავისუფლებიათ, ამა წლის პირველ იანვარს გადასახლებული ყოფილა 17,218 კაცი.


# განცხადებანი

**კირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1/2}$—10 ს. თვალის, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველისიანცი:** 11—12 ს. კანისა-სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1/2}$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^{1/4}$ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^{1/2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—203)

# იყიდება

**ორი ნაჭერი** მიწისა თავად-აზნაურთა გიმნაზიასთან, ვერაზე, ვაკეში: 1 ზომით 360 ოთხ-კუთხი საჟ. 2. 436 ოთხ-კუთხი საჟ. ორივე კუთხას ადგილია. იკითხეთ გ. ყიფშიძესთან იქვე, საკუთ. სახ, დილით 10 ს.-დე და საღამოთი 4—7 საათზე.

(2—518—2)

**სამანუფაქტურო ვაჭრობა**

**ივ. გრ. კაჭკაჭოვისა**

20 ოქტომბრიდან გაიხსნა ვაჭრობა ახალ შენობაში სოლოლაკის ქუჩაზე, „პროვოდნიკის ამხ.-ბის" გვერდით, აზოვ-დონის ბანკის ქვეშ (ამირალოვისეულ მაღაზიაში). თამამშევის ქარვასლიდან ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ საქონელი განახლდა. მიღებულ იქმნა მრავალი სასეზონო საქონელი. აბრეშუმის, მატყლის, მაუდის, ბამბის და ფორმის მატერიები ყველა სასწავლებლისათვის. მაუდი საუკეთესო თვისების მოსწავლეთათვის და სხვა და სხვა პლედები.

**—◀ მ რ ა ვ ლ ა დ ა რ ი ს: ▶—**

მაუდის მოსახვევები, საბნები პლიუშისა, ბაიკისა, პიკეისა, ატლასისა და ქიშმირისა.

**ტილოს საქონელი და სუფრეული**

საუკეთესო ფაბრიკისა, გარდინის ტიული, პლიუშის სუფრები, ხავერდი, პლიუში და მანჩესტერი.

აუარებელი ყვავილი. სატინი, ბატისტი, ბამბაზეა, ნუვოტე და ჩითი.

საწყობი ბამბის ქსოვილებისა, თეთრი და ფერადი საცვლებისთვის და ბალიშის პირები ცნობილ ფირმებისა.

**იმედი მაქვს, რომ ჩემი საქონელი ყოველ კონკურენციის გარეშე იქნება**

**ფასები შეუვაჭრებლად**

შაბათობით გაიყიდება ნაჭრები. (5—6.—1)


სტამბა „სინათლე" რუს-ს ქუჩ № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე